2021 წლის ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ

GCSD TRC

2021 წლის ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ

წარმოადგენს ტერორიზმის კვლევის ცენტრის მიერ შემუშავებულ ყოველწლიურ ანგარიშს რომლის მიზანია დაინტერესებულ მხარეს წარმოუდგინოს მიმდინარე წლის შეჯამება ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში. აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა სფეროში მოღვაწე ექსპერტების და მომუშავე ერთეულების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:
ფარსადანიშვილი, ბ. (2021) 2021 წლის ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ. ტერორიზმის კვლევის ცენტრი ხელმისაწვდომია:

ავტორი: ბექა ფარსადანიშვილი

ტერორიზმის კვლევის ცენტრის შესახებ

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC), საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად, საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ თემების შემსწავლელ თეორეტიკოსებს და შესაბამის პრაქტიკოსებს, რათა ქვეყანაში ტერორიზმის და მისი მომიჯნავე მიმართულებებით განხორციელებული პოლიტიკა სამეცნიერო მტკიცებულებებსა და სიღრმისეულ ანალიზზე იყოს დამყარებული. ჩვენი სურვილია, წავახალისოთ და განვითარების საშუალება მივცეთ ხსენებული თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 2

ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი 2021 წელს 4

20 წელი 11 სექტემბრის ტერაქტიდან: საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტული ძალისხმევის შეფასება 8

2021 წელს შემუშავებული სახელმწიფო კონტრტერორისტული დოკუმენტების მიმოხილვა 17

საქართველოში არსებული ვითარება ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის კუთხით 21

პერსპექტივა 2040: ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის მომავალი 23

ზოგადი მიმოხილვა

ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული გლობალური ომიდან 20 წლის გასვლის მიუხედავად, ძალადობრივი ექსტრემიზმი დღესაც რჩება საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვან გამოწვევად. წინამდებარე წლიური ანგარიში მიმოიხილავს ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ 2021 წლის მოვლენებს. ამასთანავე, გათვალისწინებულია რა „ტერორზე ომის“ 20 წლის იუბილე, დოკუმენტი აფასებს საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტულ ძალისხმევას 2001-2021 წლების პერიოდში და წარმოადგენს ხედვას ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ მომავალი 20 წლის პერიოდში.

2021 წლის მიმოხილვას დოკუმენტი მიმდინარე წელს ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით მომხდარი 3 მთავარი მოვლენის შესახებ საუბრით იწყებს. ანგარიშში აღწერილია 6 იანვრის თავდასხმა კაპიტოლიუმის შენობაზე, მაისის დასაწყისში ჰამასის ჩართულობას ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში და ტალიბანის მიერ ავღანეთზე კონტროლის აღდგენა.

არსებული კონტექსტის გათვალისწინების შემდეგ, შეფასებულია საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტულ ძალისხმევა გასული 20 წლის განმავლობაში. კერძოდ, დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია გაეროს, ევროკავშირის, ნატოს, ეუთოს, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF), დაეშის წინააღმდეგ გლობალური კოალიციის და ბირთვული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის კონტრტერორისტული ძალისხმევის შესახებ.

საერთაშორისო ძალისხმევის განხილვასთან ერთად, დოკუმენტი დეტალურად მიმოიხილავს 2021 წელს მიღებულ ორ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს: გაერთიანებული სამეფოს ინტეგრირებულ ხედვას, სადაც წარმოდგენილია ხედვა ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ შიდა ტერორიზმთან გამკლავების ეროვნულ სტრატეგიას, რომელშიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული აქტი ერთ-ერთ ყველაზე ლეტალურ საფრთხედ არის მოხსენიებული.

დოკუმენტის ბოლო ნაწილი წარმოადგენს ხედვას ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული საფრთხეების შესახებ მომავალი 20 წლის განმავლობაში. აღნიშნული საფრთხეები განხილულია როგორც იდეოლოგიური, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი 2021 წელს

წინამდებარე პარაგრაფი მიმოიხილავს ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ სამ მნიშვნელოვან მოვლენას: 6 იანვრის თავდასხმა კაპიტოლიუმის შენობაზე, პალესტინასა და ისრაელს შორის კონფლიქტის ესკალაციაში ჰამასის ჩართულობას და ტალიბანის მიერ ქაბულის დაკავებას და ახალი ხელისუფლების შექმნას. პარაგრაფის მიზანია მოკლე ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ პირებს 2021 წელს ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული მასშტაბური მოვლენების შესახებ.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების თავდასხმა კაპიტოლიუმის შენობაზე

2021 წლის 6 იანვარს სენატში მიმდინარე სხდომების პარალელურად კონგრესის შენობაში დონალდ ტრამპის მხარდამჭერები შეიჭრნენ. აღნიშნული პირების შეჭრის მიზანს საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული შედეგების გაუქმება და კონგრესის საერთო სესიაზე ფორმალური ელექტორალური ხმების დათვლის პროცესის ჩაშლა წარმოადგენდა. კაპიტოლიუმზე თავდასხმის შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი და დაშავდა 138.



ფიგურა 1. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები შტატების მიხედვით.
წყარო: CNN



საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა მის მხარდამჭერებს მოქმედებისკენ მოუწოდა, ლოზუნგით „გადაარჩინეთ ამერიკა“. პრეზიდენტის სწორედ აღნიშნულმა გამოსვლამ დაუდო სათავე 6 იანვრის თავდასხმას. აღსანიშნია, რომ ლოზუნგი - „გადაარჩინე ამერიკას“ გაჟღერების შემდეგ სამართალდარღვევების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ფიგურა 2. აღრიცხული სამართალდარღვევები 6 იანვარს.
წყარო: VOX

Lawmakers of each party used distinct language on social media in days following Jan. 6 rioting at U.S. Capitol

Share of members of Congress who used the following terms on Facebook or Twitter, Jan. 6-10

	Democrats	Republicans	DIFF
Insurrection	73%	9%	+64
Trump	95	39	+56
Democracy	94	40	+55
Terrorism	57	11	+46
Attack	77	34	+43
Mob	71	35	+36
Riot	70	48	+22
Violence	90	88	+2
Police	81	87	-5
Protest	54	60	-6
Law enforcement	33	66	-33

საგულისხმოა, რომ კაპიტოლიუმზე მომხდარი თავდასხმის პოლიტიკური მოტივის გამო აღნიშნული ქმედება არაერთგვაროვნად შეფასდა არამხოლოდ საზოგადოების, არამედ - პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერაც.

ფიგურა 3. პოლიტიკოსების შეფასებები 6 იანვართან დაკავშირებით. წყარო: BBC

6 იანვრის თავდასხმის შემდეგ ყველაზე მასშტაბური კონტრტერორისტული ძალისხმევა სწორედ სოციალურმა ქსელებმა აჩვენეს. ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელებასთან დაკავშირებით ანგარიშების დაბლოკვამ, გამოიწვია ალტერნატიული სოციალური პლატფორმების გაჩენა, რომელიც ულტრამემარჯვენე ექსტრემისტების ნავსაყუდელს წარმოადგენს.



ფიგურა 3.1. პოლიტიკოსების შეფასებები 6 იანვართან დაკავშირებით. წყარო: Statista



ფიგურა 4. სოციალური ქსელი Parler-ის მომხმარებელთა ზრდა. წყარო: Parler

ჰამასის ჩართულობა ისრაელი-პალესტინის კრიზისში

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში სამხედრო დაპირისპირება 2021 წლის 10 მაისს დაიწყო. კონფლიქტი მეტწილად ისრაელის შეიარაღებულ ძალებს და ტერორისტულ ორგანიზაცია ჰამასს შორის მიმდინარეობდა, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით 21 მაისს დასრულდა.



ფიგურა 5. ჰამასის სარაკეტო არსენალი. წყარო: Statista

აღნიშნული კონფლიქტის მიზეზად აღმოსავლეთ-იერუსალიმში ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ 6 პალესტინური ოჯახის შეიხ-ჯარადან განსახლების გადაწყვეტილებას მოჰყვა. საპროტესტო აქციები ადგილობრივ დღესასწაულებს, ქადრის ღამეს და იერუსალიმის დღეს დაემთხვა.

10 მაისს ტერორისტულმა ორგანიზაცია ჰამასმა ისრაელს სამხედრო ნაწილების შეიხ ჯარადან გაყვანა მოსთხოვა დღის 6 საათამდე. თუმცა ისრაელის მხრიდან მოთხოვნაზე უარის შემდეგ, ჰამასმა სარაკეტო იერიში დაიწყო ისრაელის მიმართულებით. საგულისხმოა, რომ ჰამასმა აღნიშნული კონფლიქტის ფარგლებში მისი სარაკეტო არსენალი ფართოდ ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით არსებული მონაცემებით დაახლოებით 4360 სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა.

ჰამასის და პალესტინის ისლამური ჯიჰადის წინააღმდეგ ისრაელმა 1500 საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო თავდასხმა განახორციელა ღაზას სექტორში.

აღნიშნული კონფრონტაციის შედეგად ღაზას სექტორში დაიღუპა 256 ადამიანი და დაშავდა 2000. ისრაელის მხარეს დაღუპულია დაახლოებით 15 ადამიანი.

ხელისუფლების ცვლილება ავღანეთში



ფიგურა 6. ტალიბანის ახალი არსენალი. წყარო: სახ. დეპარტამენტი

2001 წელს ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, თალიბანმა დაიწყო აჯანყება, რომელიც ექსპერტთა შეფასებით დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან კონფლიქტად ითვლება. ავღანეთის ისლამურ სახელმწიფოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა არამხოლოდ საერთაშორისო მედიის, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია. 15 აგვისტოს თალიბანის მიერ ქაბულის აღებამ რადიკალურად შეცვალა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგი. რიგი ექსპერტების აზრით, 2021 წელს ავღანეთის ტერიტორიაზე მივიღეთ 1996-2001 წლების პერიოდის თვითგამოცხადებული ისლამური საამირო, რომელსაც თალიბანი ხელისუფლებაში ყოფნის დროს შარიათის წესებით მართავდა. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ რეზოლუცია 1378-ში ხსენებული პერიოდის ავღანეთი აღწერილია, როგორც სახელმწიფო, სადაც სახეზე გვაქვს ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის მძიმე მაგალითები.[1]

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კონტინგენტმა ავღანეთის დატოვება 2021 წლის 30 აგვისტოს დაასრულა, რითიც ფაქტიურად დასრულდა 20 წლიანი ომი ავღანეთში. ქვეყნიდან გასვლას წინ უძღოდა 2020 წლის თებერვალში გაფორმებული დოჰას შეთანხმება ტრამპის ადმინისტრაციას და თალიბანს შორის, რომელშიც წარმოდგენილი არ იყო ავღანეთის ხელისუფლება. ხელშეკრულებამ ვალდებულება დააკისრა ნატოს მისიაში ჩართულ ყველა საერთაშორისო აქტორს გასულიყო ავღანეთიდან. სანაცვლოდ ტალიბანმა პასუხისმგებლობა აიღო რომ არ დაუშვებდა ალ კაიდას ოპერირებას მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ხელს შეუწყობდა სამომავლო სამშვიდობო მოლაპარაკებებს ავღანეთის ხელისუფლებასთან. თუმცა, ბაიდენის ადმინისტრაციამ 2500 ამერიკელი სამხედროს მიერ ქვეყნის დატოვების დროდ გახანგრძლივებული ვადა - 11 სექტემბერი დაასახელა. საპასუხოდ თალიბანმა დაიწყო თავდასხმა, რის გამოც მოთხოვნილი ვადები 31 აგვისტომდე შეამცირა. იმ დროისათვის ადგილზე დისლოცირებულ

[1] ფარსადანიშვილი, ბ. (2021). ავღანეთში განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოზე. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD). ხელმისაწვდომია: https://www.gcsd.org.ge/ge/publications/show/85

ამერიკის შეერთებული შტატების 6500 ჯარისკაცს დაევალა ქაბულის აეროპორტის დაცვა. თუმცა, გაზრდილი თავდასხმების გამო, 14-16 აგვისტოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯარისკაცების რაოდენობა 7000-მდე გაზარდა. ქაბულის ევაკუაცია 2021 წლის 30 აგვისტოს დასრულდა.

20 წელი 11 სექტემბრის ტერაქტიდან: საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტული ძალისხმევის შეფასება

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა თავდასხმამ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო საზოგადოების იმ დროისათვის უპრეცენდენტო მასშტაბის, კონსოლიდირებულ საერთაშორისო კონტრტერორისტულ ძალისხმევას. გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ დღეისათვის 20 წელს ითვლის. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ძალისხმევისა, ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი საერთაშორისო საზოგადოებისთვის დღესაც უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. წინამდებარე პარაგრაფი მიმოიხილავს საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტულ ძალისხმევას გასული 20 წლის განმავლობაში.



ფიგურა 7. მაღალი მომაკვდინებლობის (> 30) მქონე ტერორისტული თავდასხმების ლოკაციები 2001 წლიდან დღემდე.
წყარო: Global Terrorism Database

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ფიგურა 8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებული პროექტების რუქა. წყარო: UN



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტრტერორისტული ძალისხმევა გასული 20 წლის განმავლობაში მეტწილად კონცენტრირებული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წელს მიღებული კონტრტერორისტული სტრატეგიის ირგვლივ. აღნიშნული სტრატეგიის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დღემდე ეყრდნობა. 2006 წლის სტრატეგია გაეროს კონტრტერორისტულ ძალისხმევას 4 მიმართულებით სახავს: 1. ტერორიზმის გავრცელების ხელშემწყობ ფაქტორებთან გამკლავება 2. ტერორიზმის პრევენციის და მასთან ბრძოლის ზომები. 3. გაეროს როლის გაძლიერება საერთაშორისო კონტრტერორისტულ ძალისხმევაში სახელმწიფოებში კონტრტერორისტული უნარების გაზრდის გზით. 4. ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში კანონის უზენაესობის მთავარ პრინციპად გამოყენება.

აღნიშნული ორგანიზაცია კონტრტერორისტული სტრატეგიის მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რიგ უწყებებს შორის ანაწილებს. გაეროს კონტრტერორისტული ძალისხმევა მეტწილად განაწილებულია შემდეგ სახით:

1. **გაეროს კონტრტერორისტული საბჭოს აღმასრულებელი სამმართველო (UNCTED**) - აღნიშნული უწყება სწორედ 11 სექტემბრის მოვლენებზე რეაქციად, 2004 წელს დაარსდა და მოწოდებულია გაზარდოს გაეროს წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობების ტერორიზმის ქვეყნის საზღვრებს შიგნით და გარეთ ბრძოლის კუთხით. კონტრტერორისტულ საბჭოსთან ერთად უწყების მთავარ საქმიანობას 20 წლის განმავლობაში საექსპერტო შეფასება და საკონსულტაციო საქმიანობა წარმოადგენდა.

2. **გაეროს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული საბჭო (CTC) -** კონტრტერორისტული საბჭო გაეროს უშიშროების საბწოს დამხმარე უწყებას წარმოადგენს. რეზოლუცია 1373-ით შექმნილი ორგანო 20 წლის განმავლობაში ეხმარებოდა სახელმწიფოებს შორის კოორდინაციის პროცესს. სწორედ აღნიშნული საბჭოს და აღმასრულებელი სამმართველოს დახმარებით შემუშავდა კოფი ანანის და მაღალი პოლიტიკის პანელების და საფრთხის გამოწვევების ანგარიშები, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ტერორიზმის სამართლებრივი განმარტების პირველ მცდელობას წარმოადგენს.

3. **გაეროს კონტრტერორიზმის ცენტრი** - 2011 წელს შეიქმნა და ეხმარება სახელმწიფოებს გაეროს პრინციპების და 2006 წლის კონტრტერორისტული პოლიტიკის შესაბამისად მოახდინონ საკუთარი კონტრტერორისტული ძალისხმევის მოდიფიკაცია.

4. **გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC**) - არაპირდაპირ კონტრტერორისტულ უწყებას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სხვა ასპექტებთან ერთად ორგანიზებულ ტერორისტულ დანაშაულს, ნარკოტიკის ტრეფიკინგს და კორუფციას ებრძვის. UNODC -ის შიგნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერორიზმის პრევენციის დეპარტამენტი (Terrorism Prevention Branch), რომელიც მხარდამჭერის დანერგვის ტრიადის კონცეფციას წარმოადგენს და მეტწილად კონცენტრირებულია რიგი სახელმწიფოების უნარების გაძლიერებაზე.

5. **გაეროს განიარაღების პოლიტიკასთან დაკავშირებული ოფისი (UNODA)** წარმატებული უწყების თვალსაჩინო მაგალითია. ტერორიზმის კუთხით აღნიშნული უწყების პასუხისმგებლობაში შედის ტერორისტული ჯგუფებისთვის იარაღის მიწოდების მაქსიმალური შეზღუდვა. სწორედ აღნიშნული დეპარტამენტის თავდაუზოგავი შრომით მოხერხდა ტერორისტული ორგანიზაცია „კოლუმბიის რევოლუციური არმიის(FARC)“ განეიტრალება.

6. **გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი** - სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო სპეცოპერაციებზე პასუხისმგებელ მთავარ ქმედით ორგანოს წარმოადგენს. უშიშროების საბჭოს ქვეშ მოქმედი აღნიშნული უწყება გასული 20 წლის განმავლობაში პასუხისმგებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტაბილიზაციის მცდელობებზე. აღნიშნული დეპარტამენტის ყველაზე წარმატებულ კონტრტერორისტულ ღონისძიებად შესაძლებელია ჩაითვალოს გაერთაინებული ერების ორგანიზაციის მიერ აპრობირებული Force Intervention Brigade კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელმაც სამიზნეში ამოიღო ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები როგორებიცაა - გაერთიანებული დემოკრატიული ძალები (ADF), ღვთის წინააღმდეგობის არმია და M-23.

ევროკავშირი

ფიგურა 9. ევროკავშირის დაფინანსებული P/CVE პროექტები ქვეყნების მიხედვით. წყარო: CoE

ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის გამოცხადებიდან, ევროკავშირი საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტული ძალისხმევის მნიშვნელოვან კონტრიბუტორ ერთეულს წარმოადგენს. თუმცა, ევროკავშირის შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის კონტრტერორისტული ძალისხმევა ევროპის კონტინენტის გარეთ მეტწილად ფინანსური ხასიათით შემოიფარგლება.

დღეისათვის ევროკავშირის კონტრტერორისტული სტრატეგია 4 ძირითად პრინციპს ეყრდნობა - პრევენცია, დაცვა, დევნა და რეაგირება.

პრევენცია	დაცვა	დევნა	რეაგირება
მეტწილად რადიკალიზაციასთან ბრძოლას, რეკრუტირების პროცესისთვის ხელის შეშლას და 2007 წლიდან ტერორიზმის ფინანსირებასთან ბრძოლას გულისხმობს.	აერთიანებს საზღვრების, სატრანსპორტო საშუალების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის და მოქალაქეების დაცვას.	გულისხმობს სამართლებრივი სისტემის გაუმჯობესებას ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებთან მიმართებაში.	ეყრდნობა ტერორიზმისგან მომავალი საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანისთვის საჭირო ზომების მიღებას, კოორდინაციის გაღრმავებას სხვადასხვა უწყებებს შორის და საერთაშორისო თანამშრომლობას.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო

საგულისხმოა, რომ ნატოს დაარსების შემდეგ მეხუთე მუხლი ერთადერთხელ სწორედ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად ამოქმედდა და საფუძველი ჩაუყარა ნატოს მონაწილეობას ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლაში. გასული 20 წლის მანძილზე, ჩრდილოატლანტიკური ბლოკი ჩართული იყო რიგ კონტრტერორისტულ ოპერაციებში. 2001 წლის თავდასხმის შემდეგ ნატომ თითქმის მყისიერად დაიწყო ოპერაცია Active Endeavour ხმელთაშუა ზღვაში, რომელიც 2016 წლის შემდეგ ოპერაცია Sea Guardian-მა ჩაანაცვლა. აღნიშნულ კონტრტერორისტულ მისიას 3 ამოცანა აქვს: ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ტერორიზმის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, კონტრტერორიზმი ზღვაზე, და ადგილობრივი ერთეულების ხელშეწყობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საგულისხმოა, რომ 2007 წლიდან NATO აქტიურად ეხმარება სომალში აფრიკის კავშირის მოქმედ AMISOM-ის მისიას საზღვაო და საჰაერო მხარდაჭერით, იგი ასევე უწევს ტექნიკურ დახმარებას African Standby Forces, რომლებიც მეტწილად სამიზნეში ტერორისტულ ორგანიზაციებს და მათ შორის ალ-შაბააბს იღებენ. საგულისხმოა ნატოს დასრულებული მისია ავღანეთში Resolute Support Mission, რომელიც შეიძლება ყველაზე ხანგრძლივ და მასშტაბურ კონტრტერორისტულ ოპერაციად ჩაითვალოს. აღნიშნული მისია 2021 წლის სექტემბერში ამერიკის ავღანეთის დატოვებასთან ერთად დასრულდა. სხვა მისიებს შორის აღსანიშნია ნატოს საწვრთნელი მისიები ერაყში დაეშის წინააღმდეგ Nato Training Mission in Iraq (NTM-I).



ფიგურა 10. 2001 წლიდან დღემდე ნატოს კონტრტერორისტული სამხედრო ძალისხმევის რუქა. წყარო: NATO

ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია - ეუთო

დღეისათვის ეუთო გაეროს შემდეგ წევრობის მიხედვით ერთ-ერთ ყველაზე დიდ ორგანიზაციას წარმოადგენს 57 წევრით, რომელიც კონფლიქტის რეზოლუციაში სამხედრო შესაძლებლობის არმქონე მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენს. სამხედრო შესაძლებლობის შეზღუდულობის გამო, ეუთოს კონფლიქტში ჩართულობა მეტწილად მედიაციას, დაკვირვებას და კონსულტაციას გულისხმობს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეუთო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო საზოგადოების კონტრტერორისტულ ძალისხმევაში.

ეუთოს კონტრტერორისტული მიდგომა გულისხმობს გაეროსათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას და სახელმწიფო უწყებებს და სხვადასხვა ქვეყნებს შორის პარტნიორობის ხელშეწყობას. ეუთოს კონტრტერორისტული ძალისხმევა 8 პრინციპს ეყრდნობა:

1. საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა ტერორისტულ დანაშაულთან მიმართებაში.

2. მრავაგანზომილებიანი მიდგომა რადიკალიზაციის მიმართ.

3. ტერორიზმის ფინანსირების პრევენცია.

4. ინტერნეტის ექსტრემისტული მიზნებისთვის გამოყენების პრევენცია.

5. ინტერნეტის რეკრუტირებისთვის გამოყენებისპრევენცია.

6. სახელმწიფოების საჯარო-კერძო სექტორის დიალოგის ხელშეწყობა კონტრტერორისტულ ძალისხმევაში.

7. მასობრივი იარაღის გავრცელების ხელის შეშლისთვის სახელმწიფოების დახმარება დანერგონ გაეროს რეზოლუცია 1540-ის შესაბამისი პრაქტიკა.

8. საერთაშორისო გადაადგილების უსაფრთხოების დაცვა. ადამიანის უფლებების და უსაფრთხოების დაცვა.

საგულისხმოა, რომ მიუხედავად წევრების სიმრავლისა, ეუთო აღმოჩნდა ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელმაც ყველაზე სწრაფად და კონსენსუსის პირობით შეიმუშავა *კონსოლიდირებული ჩარჩო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ*, რომელიც დღეს ორგანიზაციის კონტრტერორისტული სტრატეგიის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის - FATF

დიდი შვიდეულის ინიციატივით დაარსებულმა ფინანსურმა სამოქმედო ჯგუფმა ოპერირება 1989 წელს დაიწყო. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა ნათელი გახადა, რომ ტერორისტული თავდასხმის ჩადენა შესაბამისი რესურსის ქონის შემთხვევაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ხდებოდა შესაძლებებლი. სწორედ ამ მიზეზის გამო მანამდე G7-ის ქვეშ მოქმედი ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ფინანსური დანაყოფის მანდატი 2001 წელს გაფართოვდა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობაც მოიცვა. 20 წლის განმავლობაში აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა 9 კონკრეტული რეკომენდაცია ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, რომელსაც დღეს საერთაშორისო საზოგადოება ეყრდნობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში:

1. **გაეროს ინსტრუმენტების რატიფიკაცია და იმპლემენტაცია** - გულისხმობს ყველა სახელმწიფოს მიერ გაეროს 1999 წლის ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ კონვენციის იმპლემენტაციას.

2. **ტერორიზმის ფინანსირების და მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია** -ითვალისწინებს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებას ყველა ქვეყანაში.

3. **ტერორისტულ აქტივობასთან დაკავშირებული ქონების კონფისკაცია და გაყინვა.**

4. **საეჭვო ტრანზაქციების შესახებ სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების ინფორმირება.**

5. **საერთაშორისო კოოპერაცია** - ბილატერული შეთანხმებების საფუძველზე ქვეყნები უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას.

6. **ალტერნატიული სატრანზაქციო სისტემების აღნუსხვა და ლიცენზირება** - ამ რეკომენდაციის თანახმად, ფულის ერთი ადგილიდან მეორეში გაგზავნა უნდა ხდებოდეს საერთაშორისოდ აკრედიტირებული სისტემებით.

7. **ინტერნეტ-ტრანზაქციის მონიტორინგი (Wire transfer-სისტემის დახვეწა)** - გულისხმობს ქვეყნიდან ქვეყანაში ფულის გაგზავნისას გამგზავნის შესახებ საჭირო ინფორმაციის აღნუსხვას.

8. **არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაზე დაკვირვება** - რიგი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მსგავსი ტიპის ორგანიზაციების გამოყენება ფულის გათეთრების და ტერორიზმის ფინანსირებისთვის FATF-ისთვის ცნობილი პრაქტიკაა

9. **თანხის მიმტანების საქმიანობის შეზღუდვა** - გულისხმობს იმ პირების გადაადგილების შეზღუდვას რომლებიც დაკავებული არიან ერთი ქვეყნიდან მეორეშიტერორისტული ერთეულისთვის თანხის მიწვდით.

დაეშის საწინააღმდეგო გლობალური კოალიცია



ფიგურა 11. კოალიციის წევრი სახელმწიფოები

საერთაშორისო კოალიცია დაეშის წინააღმდეგ 2014 წელს ჩამოყალიბდა და იმ დროისათვის უპრეცენდენტო მასშტაბის სამხედრო-კონტრტერორისტულ ალიანსს წარმაოდგენდა. კოალიციის 84 წევრმა ერთეულმა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ერაყსა და სირიაში ჩაატარეს სამხედრო კამპანიები. თუმცა აღნიშნული საერთაშორისო კოალიციის უნიკალურობა მეტწილად მის უნივერსალურობაზე გადის, რაც გულისხმობს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციის მიმართ არამხოლოდ სამხედრო, არამედ სხვა ასპექტში ბრძოლა: დაეშის ფინანსირების და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების შეზღუდვა, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების მობილობის შეზღუდვა, დაეშის კონტროლისგან გათავისუფლებული რეგიონების სტაბილიზაცა, საჯარო სექტორის ხელშეწყობა და დაეშის ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა.

ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინიციატივა



ფიგურა 12. საინიციატივო ჯგუფის წევრები

გლობალური ინიციატივა ნუკლეარული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით წარმოადგენს შედარებიტ ახალშექმნილ საინიციატივო ჯგუფს, რომელშეი 89 სახელმწიფო და 6 საერთაშორისო ორგანიზაცია წევრიანდება. აღნიშნული ინიციატივის მიზანია ჩაატაროს მრავალშრიალი აქტივობები კონტრტერორისტული პოლიტიკის დაგეგმვის, შემუშავების და იმპლემენტაციის გასამყარებლად. ისევე როგორც გაერო და სხვა ზემოთ დასახელებული ორგანიზაციები, აღნიშნული ორგანიზაციაც ეყრდნობა პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების პრინციპებს.

ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლის სხვა კონტრიბუტორ ერთეულებს შორის მნიშვნელოვანია ასევე ვახსენოთ ევროპოლის მსგავსი ორგანო ASEANAPOL და არაბული ქვეყნების ლიგა.

2021 წელს შემუშავებული სახელმწიფო კონტრტერორისტული დოკუმენტების მიმოხილვა

წინამდებარე პარაგრაფის მიზანია მიაწოდოს მოკლე ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეს მიმდინარე წელს გაერთიანებულ სამეფოში მიღებული ინტეგრირებული მიმოხილვის და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული შიდა ტერორიზმთან გამკლავების ეროვნული სტრატეგიის შესახებ.

გაერთიანებული სამეფოს ინტეგრირებული მიმოხილვა

უსაფრთხოების, თავდაცვის, განვითარებისა და საგარეო პოლიტიკის 2021 წლის ინტეგრირებული მიმოხილვის დოკუმენტი აღწერს ხელისუფლების ხედვას გაერთიანებული სამეფოს როლზე საერთაშორისო საზოგადოებაში და 2021-2025 პერიოდის სამოქმედო გეგმას.

ინტეგრირებული მიმოხილვა მკითხველს სთავაზობს გაერთიანებული სამეფოს ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ყოვლისმომცველ არტიკულაციას. დოკუმენტი ხაზს უსვამს სამ ძირითად ეროვნულ ინტერესს, რომელიც გაერთიანებული სამეფოს საზოგადოებას აერთიანებს. ეს ინტერესებია: სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და კეთილდღეობა და ისინი თანხვედრაშია სახელმწიფოს დემოკრატიის აღქმასთან, ადამიანის უფლებებთან, კანონის უზენაესობასთან, თავისუფლებისა და რწმენის თავისუფლებასთან და თანასწორობის პრინციპებთან.

ინტეგრირებული მიმოხილვის დოკუმენტის დასკვნით, 2015 წელს მიღებული სტრატეგიული თავდაცვისა და უსაფრთხოების გეგმის შემდეგ გეოპოლიტიკური დღის წესრიგი მსოფლიოში შეიცვალა და შესაბამისად, შეიცვალა გაერთიანებული სამეფოს ადგილიც საერთაშორისო საზოგადოებაში.

დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის მუშაობის და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თუ კერძო ექსპერტებთან ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრების პროდუქტს, რომლის მიზანიც გაერთიანებული სამეფოს გლობალური როლის შესახებ ხედვის წარმოდგენაა. ეს უკანასკნელი მოიცავს შემდეგს:

- აქცენტი ღიაობაზე, როგორც კეთილდღეობის წყაროზე;

- უფრო მყარი პოზიცია უსაფრთხოებისა და საფრთხეების მიმართ მდგრადობის საკითხებში;
- გაზრდილი ნდობა გაერთიანებული სამეფოს, როგორც გლობალური პოზიტიური ცვლილებების განმახორციელებელ აქტორის მიმართ;
- გაზრდილი ძალისხმევა, რათა შემუშავებული იქნას პრობლემის გადაჭრის მრავალმხრივი გზები ისეთი გამოწვევების მიმართ, როგორიცაა კლიმატის ცვლილება.

გარდა გაერთიანებული სამეფოს სახეცვლილი საერთაშორისო როლისა დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეები, რომლებიც განხილულია ეროვნული უშიშროებისა და ტრანსნაციონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ კუთხით დოკუმენტში საუბარია ისეთ საფრთხეებზე როგორებიცაა:
1. რადიკალიზაცია და ტერორიზმი, 2. ორგანიზებული დანაშაული, 3. განიარაღების საკითხი; კონტროლი შეიარაღებასა და იარაღის უკანონო გავრცელებაზე.

- რადიკალიზაცია და ტერორიზმი - დოკუმენტის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოსათვის ყველაზე საფრთხის შემცველი ისლამისტური ტერორიზმია, ხოლო შემდეგ ადგილებს შესაბამისად იკავებენ - ულტრა მემარჯვენე ტერორიზმი, ულტრამემარცხენე ტერორიზმი, ანარქისტული და არა-აფილირებული ტერორისტული აქტები[1].

- ორგანიზებული დანაშაული - დოკუმენტის მიხედვით, კრიმინალური ქსელების აქტივობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეებს და ყოველწლიურად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი 37 მილიარდი გირვანქა სტერლინგია [2].

- განიარაღების საკითხი; კონტროლი შეიარაღებასა და იარაღის უკანონო გავრცელებაზე - დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული საფრთხე დიდი ბრიტანეთისათვის რეგიონულ გამოწვევას წარმოადგენს[3].

წარდგენილ დოკუმენტში ასევე ყურადღება ეთმობა ურთიერთობების გაღრმავებას გაერთიანებული სამეფოს როგორც მოკავშირე, ასევე სხვა პარტნიორ ერთეულებთან და ხსენებულ თანამშრომლობის პროცესში გაუმჯობესებული დინამიკის შეტანას. აღნიშნული კუთხით ინტეგრირებული მიმოხილვის დოკუმენტი წარადგენს ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ამოცანას:

1. სტრატეგიული წინსვლის ხელშეწყობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დახმარებით;
2. მონაწილეობის მიღება მომავალი საერთაშორისო წესრიგის ფორმირებაში;
3. უსაფრთხოებისა და თავდაცვის გაძლიერება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე - მის გარეთ;
4. საფრთხეების მიმართ მდგრადობის გაზრდა როგორც საშინაო, ისე - საგარეო დონეზე.

ამრიგად, 2021 წლის ინტეგრირებული მიმოხილვის დოკუმენტი მთავრობისათვის განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ამოცანებს 2025 წლამდე. დოკუმენტი განსაზღვრულია ნებისმიერი პოლიტიკის მწარმოებელი ერთეულისთვის ქვეყნის მასშტაბით 2021-2025 წლის პერიოდში.

დოკუმენტი სრულად იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/30VaRkH

შიდა ტერორიზმთან გამკლავების ეროვნული სტრატეგია

2021 წლის 14 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა შიდა ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია.

ამერიკის შეერთებული შტატების 46-ე პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებისთანავე, ჯო ბაიდენის დირექტივით, მისმა ეროვნული უშიშროების გუნდმა ხელისუფლების მიერ შიდა ტერორიზმთან გამკლავებაზე გაწეული ძალისხმევის შეფასება დაიწყო. მათი მუშაობის შედეგად, ადმინისტრაციამ შეიმუშავა შიდა ტერორიზმთან გამკლავების ეროვნული სტრატეგია, რომლის მიზანია ხელისუფლების მიერ შიდა ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

აღნიშნული სტრატეგიის შექმნის მიზნით პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამართა შეხვედრები კონგრესის ლიდერებთან, ექსპერტებთან, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამოქალაქო საზოგადოებებთან, რელიგიურ თემებთან და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან. ეროვნული სტრატეგია ყურადღებას ამხვილებს 4 ძირითად „სვეტზე“, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების პასუხი მუდმივ, განვითარებად და ლეტალურ საფრთხეებზე.

სტრატეგიის დოკუმენტი სრულად შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე გადასვლით: https://bit.ly/3cLvK8c



ფიგურა 13. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები.
წყარო: The WashingtonPost

სვეტი 1: **შიდა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გააზრება და გაზიარება**

ხელისუფლება გააუმჯობესებს შიდა ტერორისტული საქმიანობის ანალიზს და ინფორმაციის გაზიარებას სამართალდამცავ ორგანოებთან ფედერალურ, სახელმწიფოებრივ, ადგილობრივ, სათემო, ტერიტორიულ და შეძლებისდაგვარად, კერძო სექტორის დონეზე. იუსტიციის დეპარტამენტი და გამოძიების ფედერალური ბიურო დანერგეს შიდა ტერორიზმის შემთხვევებზე დაკვირვების ახალ მეთოდს დანერგავენ. ამასთანავე, ხაზინის დეპარტამენტი სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ფარგლებში, შიდა ტერორიზმის ფინანსირების შემთხვევების ანალიზსა და იდენტიფიცირებაზე იქნება ორიენტირებული.

სვეტი 2: **რეკრუტირებისა და ძალადობის მიზნით მობილიზაციის პრევენცია.**

პირველად ისტორიაში, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების დეპარტამენტმა უშიშროების საგრანტო პროგრამის ფარგლებში შიდა ძალადობრივი ექსტრემიზმი ეროვნულ პრიორიტეტად სცნო. ხსენებული ნაბიჯი გულისხმობს პრევენციის საკითხებზე 77 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას. აღნიშნული მიმართულებით, თავდაცვის დეპარტამენტში დაიწყება მომსახურე პერსონალის ინტენსიური გადამზადება და გაგრძელდება ტერორიზმის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების სოციალური კამპანიები.

სვეტი 3: **შიდა ტერორისტული აქტივობების შეკავება**

ხელისუფლება გაზრდის ფედერალური, საშტატო და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერას. ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში ფედერალურმა გამოძიების ბიურომ შიდა ტერორიზმი პრიორიტეტად გამოაცხადა და შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. 2022 ფისკალური წლის ბიუჯეტში დამატებით 100 მილიონი ამერიკული დოლარი მიეწოდება იუსტიციის დეპარტამენტს, ფედერალური გამოძიების ბიუროსა და ეროვნული უშიშროების დეპარტამენტს. აღნიშნული სტრუქტურები გაამკაცრებენ პოტენციურ თანამშრომელთა შემოწმების პროცედურებს, რაც სახელმწიფო უწყებებში პოტენციურ ტერორისტთა დასაქმების რისკს შეამცირებს.

სვეტი 4: **შიდა ტერორიზმში წვლილის შემტან სუბიექტებთან დაპირისპირება გრძელვადიან პერსპექტივაში**

აღნიშნული პუნქტის ფრგლებში ხელისუფლება მჭიდროდ ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებასთან. ეროვნული სტრატეგია მოუწოდებს ხელისუფლებას მჭიდროდ ითანამშრომლოს ისეთ სექტორებთან, როგორებიცაა - მედია სექტორი, სამართალდამცავი ორგანოები და სხვასხვა ინტერნეტ-პლატფორმები, რათა მოხდეს პოლარიზაციის, რასიზმისა და ფანატიზმის შემცირება

საქართველოში არსებული ვითარება ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის კუთხით

ტერორიზმსა და ძალადობრივ ექქსტრემიზმთან გამკლავების თვალსაზრისით საქართველოს წამყვან სახელმწიფოებთან შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვს. თუმცა, საგულისხმოა, რომ საქართველო დღეისათვის კონტრტერორისტული ძალისხმევაში წვლილის შეტანის თვალსაზრისით არამხოლოდ მნიშვნელოვან კონტრიბუტორად, არამედ საკმაოდ უნარიან სახელმწიფოდაც ითვლება. ავღანეთში მიმდინარე მოვლენების პარალელურად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში საქართველო მოხსენიებულია როგორც სახელმწიფო, რომელსაც შესწევს ტერორისტული საფრთხეების იდენტიფიცირების, გაუვნებელყოფის და მათზე რეაგირების სათანადო უნარი. აღნიშნულ ანგარიშში განსაკუთრებული ხაზი აქვს გასმული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლობას სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს წარმატებით მოხერხდა დაეშის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 5 ახალგაზრდა პირის გამგზავრების აღკვეთა. მიუხედავად იმისა რომ 2021 წელს საქართველოში ტერორისტული თავდასხმები არ განხორციელებულა, ივლისის დასაწყისში დაფიქსირდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მაღალი აქტივობა.

საკანონმდებლო, სამართალდამცავი და სასაზღვრო უსაფრთხოების თვალსაზრისით, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აქცენტი გაკეთებულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და მისი კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლობაზე ისეთ სახელმწიფო უწყებებთან, როგორებიც არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ანგარიშის თანახმად, საქართველო წარმატებით ახორციელებს ტერორისტული ინციდენტების ამოცნობას, გაუვნებელყოფას და მათზე რეაგირებას.

ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, საქართველო აქტიურად მუშაობს MONEYVAL-ის და CIFG ერთეულების ფარგლებში. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოს ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ არსებულ შესაძლებლობებს აფასებს როგორც მეტწილად წარმატებულს.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან გამკლავების კუთხით საქართველოში არის მზარდი ტენდენცია არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამოქალაქო სექტორს და სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობას კუთხით.

საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის თვალსაზრისით საქართველო ჩართულია საერთაშორისო და რეგიონულ კონტრტერორისტულ პროგრამებში. ამ მიმართულებით საყურადღებოა საქართველოს თანამშრომლობაზე ინტერპოლთან, შავი ზღვის ეკონომიკური

თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ბისეკი) და ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო).

ამასთანავე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არაერთხელ გადაუხადა მადლობა საქართველოს მიმდინარე წლის აგვისტოში ავღანეთიდან განხორციელებული ევაკუაციაში მონაწილეობისათვის.

საგულისხმოა, რომ საქართველოს 2021 წლის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია 2019-2021 წლის ეროვნულ სტრატეგიას ეფუძნება, ხოლო 2022 წელს დაგეგმილია საქართველოს ახალი კონტრტერორისტულ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება ახალი ტენდენციები და შეცვლილი გარემოებები.

პერსპექტივა 2040: ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის მომავალი

როგორც უკვე აღინიშნა, ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის თვალსაზრისით 2021 წელს განსაკუთრებული ადგილი აქვს. იგი აჯამებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 20 წლის ძალისხმევას. შესაძლებელია ითქვას, რომ განვლილი 20 წლისი განმავლობაში სახელმწიფოებმა არათუ მოახერხეს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის ფენომენისაგან მომავალი საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა, არამედ დღეს ტერორიზმი შედარებით უფრო მრავალფეროვანი და საფრთხის შემცველია. წინამდებარე პარაგრაფის მიზანია წარმოადგინოს მოკლე მიმოხილვა ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით არსებული შესაძლებელი სამომავლო საფრთხეების შესახებ. მოსალოდნელი საფრთხეები განხილულია როგორც იდეოლოგიური, ისე გეოგრაფიული ასპექტების მიხედვით.

მიუხედავად რიგი ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციების შესუსტებისა (იგულისხმება დაეში და ალ-კაიდა) ფიქსირდება ტენდენციები, რომელიც აჩენს საფუძვლიან ეჭვს რომ აღნიშნული ორგანიზაციები ხელახლა იკრებენ ძალას. მომავალი წლების განმავლობაში საგულისხმოა, რომ სწორედ ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციები დარჩებიან ტერორისტული თავდასხმების ძირითადი განმახორციელებელი სუბიექტები აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ აზიის რეგიონებში. ამ კუთხით საგულისხმოა ირანის, ლიბანის და ლიბანში მოქმედი ჰეზბოლას შიიტური ტანდემი, რომელიც სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლეთში ისრაელს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამასთანავე საგულისხოა ე.წ მარტოხელა მგლების მიერ ჩადენილი ტერორისტული თავდასხმების კიდევ უფრო მატება ევროპის კონტინენტზე და ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში. მიმდინარე წელს პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ ექსტრემისტული ულტრამემარჯვენე იდეოლოგია კიდევ უფრო გააძლიერა. მსგავსი ძალადობრივი იდეოლოგიები დღესაც რჩება ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რიგი სახელმწიფოების სუაფრთხოების არქიტექტურაში.

საგულისხმოა, რომ ეკოლოგიურ პროცესებზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილებით შესაძლებელია ხელახლა მოხდეს ულტრამემარცხენე იდეების და მათ შორის ეკო-ტერორიზმის თემატიკის აქტუალიზაცია. რიგ სახელმწიფოებში (მაგ, ინდოეთი) შესაძლებელია პარადოქსულად ვიხილოთ მარქსისტული შეხედულებების გავრცელება, რაც მეტწილად განპირობებულია ინდოეთში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით და სოციალური სტრუქტურით.

არანაკლებ საგულისხმოა ის ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც ფეხი აუწყეს სხვადასხვა ტერორისტულმა ორგანიზაციებმაც. საერთაშორისო საზოგადოებისთვის ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად მნიშვნელოვანია ის მზარდი საფრთხეები რომელიც გულისხმობს

ტერორისტული ორგანიზაციების მიერ წვდომას ხელოვნურ ინტელექტზე, რომელიც მათ ოპერატიულობას კიდევ უფრო ზრდის. ამასთანავე ყველაზე რეალურ და ახლო ტენდენცია პანდემიის და მობილობის შეზღუდვის გამო წარმოადგენს ვირტუალური წვრთნების კონცეფციის შემოღება და ვირტუალური ბანაკების კონცეფციის შემუშავება ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ.

გეოპოლიტიკის და ტერორიზმის კორელაციაზე მიმანიშნებელი ზემოთხსენებული მაგალითებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ იმ ცვლილებებზე, რომელიც შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების იზოლაციონისტური პოლიტიკასთან, საერთაშორისო სისტემის სახეცვლასთან და ჩინეთის კიდევ უფრო გაძლიერებასთან ერთად ვიხილოთ. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის სეერთებული შტატები და დასავლური სტრუქტურები სულ უფრო ნაკლებ ინტერესს ავლენენ საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ, თუმცა მზად არიან კონკურენციისთვის, შესაძლებელია გაიზარდოს ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეები, რაც განპირობებული იქნება ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული კონკურენციით, რომელიც ხელს შეუშლის რიგ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაზიარების პროცესს და საბოლოო ჯამში დააზარალებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ნაკლებად გამოცდილ სახელმწიფოებს.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატებში ბოლოდროინდელი განვითარებული მოვლენები აშკარად მიუთითებს სახელმწიფოში ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმის, ახალგაზრდების რადიკალიზაციის და მარტოხელა მგლების აქტუალიზაციაზე. საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთბული შტატების სახელმწიფო უსაფრთხოების



ფიგურა 13. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები

არქიტექტურისთვის სამომავლოდ ყველაზე დიდ საფრთხეს სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორიზმი დასახელდა, რომლის ძირითად განმახორციელებლად ულტრამემარჯვენე იდეოლოგიების მქონე მარტოხელა მგლები მოიაზრებიან. ამერიკის შეერთებული შტატების ბოლოდროინდელი იზოლაციონისტური პოლიტიკა მიუთითებს ქვეყნის მიერ სამომავლოდ მეტი ყურადღების დათმობას არა საერთაშორისო, არამედ შიდა ტეორრიზმის მიმართ.

ევროპა

დასავლეთ ევროპაში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიები შედარებით ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ჯიჰადისტური ტერორიზმი ჯერ კიდევ უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს და ამ ტენდენციის შენარჩუნება სავარაუდოა უახლოეს მომავალშიც. სავარაუდოა, კიდევ უფრო გამწვავდეს დასავლეთ ევროპასა და გაერთიანებულ სამეფოში ახალგაზრდების რადიკალიზაციის და რეკრუტირების საკითხი. საგულისხმოა რომ დასავლეთ



ფიგურა 14. 2001-2021 წლების პერიოდში ევროპის კონტინენტზე მომხდარი მაღალი მომაკვდილებლობის ჯიჰადისტური თავდასხმები. წყარო: CoE

ევროპაში, განსაკუთრებით კი ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რეგიონებში შესაძლებელია ეკო-ტერორიზმის გააქტიურება. აღნიშნულზე მიუთითებს არსებულ რეგიონებში ულტრამემარცეხნე იდეოლოგიების მქონე პოლიტიკური ერთეულების გააქტიურება და განსაკუთრებული სენსიტიურობით აღქმული ეკოლოგიური საკითხები.

პოსტსაბჭოთა სივრცეში და დარჩენილ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მთავარ საფრთხეს სწორედ ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი წარმოადგენს. არანაკლებ საგულისხმოა უკრაიან-რუსეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობები, რაც ევროპის კონტინენტზე შექმნილ კონფლიქტურ ზონებში ზრდის უცხოელი ტერორისტი მებრძოლების მობილობის რისკს.

ამასთანავე, საგულისხმოა ბელარუსსა და პოლონეთს შორის დაძაბული ურთიერთობა, რომელსაც საიმიგრაციო ელემენტი აქვს, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო ხელს უწყობს ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტუალიზაციას პოლონეთში.

ახლო აღმოსავლეთი

ირანის ურთიერთობა ერაყთან და ლიბანთან სწარმოადგენს იმ წამყვან ქვაკუთხედს, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს ტერორიზმს ახლო აღმოსავლეთში. საგულისხმოა, რომ ირანი ერთ-ერთია იმ სახელმწიფოთა მცირე სიიდან, რომლებიც ტერორიზმს საკუთარი პოლიტიკური ინტერესების მიზნით იყენებს ჰიბრიდული ომის ფარგლებში. ამრიგად შესაძლებელია ისეთი ტერორისტული ორგანიზაციების კიდევ უფრო აქტუალიზაცია და ირანის მიერ მათთვის მხარდაჭერა როგორიც არის წარსულში მხარდაჭერილი ჰეზბოლა, ჰამასი და პალესტინის ისლამური ჯიჰადი. საგულისხმოა თურქეთის მზარდი როლი ერაყსა და სირიაში ქურთების მუშათა პარტიის წინააღმდეგ განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციების სახით.

აფრიკა



ფიგურა 15. ჩინეთის სამშვიდობო ოპერაციები აფრიკაში. წყარო: UN

აფრიკაში არსებული მდგომარეობა სულ უფრო ნაკლებ იმედს იძლევა. კონტინენტზე მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები საშუალებას იძლევა ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ რიგი პროგნოზები გავაკეთოთ. უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა საერთაშორისო

ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევები აღნიშნულ რეგიონში. გაეროში არსებული თანამშრომლობის პრობლემები აფრიკაში არსებული სამშვიდობო მისიების მიმართ ტერორიზმს და ძალადობრივ ექსტრემიზმს ხელს უწყობს. აფრიკის კავშირი, რომელსაც დაფინანსების პრობლემა აქვს სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება კონტრტერორისტული და სამშვიდობო მისიების ჩატარების დროს. საგულისხმოა, ევროკავშირიც, რომელიც ამ ეტაპზე აფრიკის კავშირის მთავარი დამფინანსებელია, თუმცა სულ უფრო და უფრო ნაკლები ინტერესით ხასიათდება. ამასთანავე გასათვალისწინებელია ცალკეული სახელმწიფოების მიერ აღნიშნული რეგიონის მიმართ ინტერესის ცვილებება. საფრანგეთი, რომლის სამხედრო კონტინგენტი მალის 2022 წელს დატოვებს ნაკლებად ერთვება კონტრტერორისტულ ოპერაციებში. აფრიკაში ჩინეთის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური ჩართულობა სავარაუდოს ხდის ჩინეთის მზარდ ჩართულობას კონტრტერორისტულ საქმიანობაში, თუმცა საგულისხმოა, რომ ჩინეთის პოლიტიკა აფრიკაში მეტწილად კონცეფტირებულია ე.წ ეკონომიკური განვითარების მშვიდობის მოდელზე, რომელიც ლიბერალური მშვიდობისგან განსხვავებით ხასიათდება პოლიტიკური ურთიერთობის დაბალი ხარისხით და მეტწილად კონცნეტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობაზე.

ფიგურა 16. მთიანი ყარაბახის კონფლიქტი. წყარო: BBC

კავკასია და შუა აზია

კავკასიაში არსებული ტერორიზმის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია მთიანი ყარაბახის ირგვლივ არსებული ვითარება, რამაც შეიძლება საბოლოო ჯამში რეგიონში სულ უფრო მეტი ექსტრემისტი ტერორისტი მებრძოლის რეკრუტირება გამოიწვიოს რეგიონში. ამასთანავე საგულისხმოა, რომ საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად არა ტერორისტული თავდასხმები, არამედ ტერორისტების მობილობა და რიგ რეგიონებში ახალგაზრდების როგორც ჯიჰადისტური ისე ულტრამემარჯვენე რადიკალიზაცია იქნება. საგულისხმოა, სომხეთში შემჩნევადი ულტრამემარჯვენე ტენდენციები, რაც მეტწილად დაკავშირებულია ულტრანაციონალიზმთან და ყარაბახის კონფლიქტთან. ყარაბაღის ყოველი ხელახლა დაწყებული კონფლიქტი სომხეთის ხელისუფლებისთვის გულისხმობს დამატებით ოპოზიციურად განწყობილი ულტრამემარჯვენე მილიტარისტული მძინარე ბლოკების შექმნას (ან გააქტიურებას). შუა აზია ამ თვალსაზრისით მეტწილად სტაბილურ რეგიონად დარჩება,

რომლის მთავარ გამოწვევასაც წარმოადგენს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში განვითარებული მოვლენების (ავღანეთში ხელისუფლების ცვლილება) თანმდევ პროცესებთან გამკლავება.

Advance Search

Data View | Graph View | Chart View | Map view

Year	Incidents of Killing	Civilians	Security Forces	Terrorists/Insurgents/Extremists	Not Specified	Total
2000*	2666	1668	1510	5216	35	8429
2001	3623	1955	1638	4935	198	8726
2002	3681	1668	1457	7216	255	10596
2003	3259	1640	866	4101	280	6887
2004	2993	1640	1239	3550	278	6707
2005	2831	2006	920	3347	144	6417
2006	2870	2287	1767	4542	639	9235
2007	3171	2718	1514	5799	740	10771
2008	5056	3081	2460	14205	752	20498
2009	3473	13142	2755	12458	897	29252
2010	2214	2322	875	5757	372	9326
2011	2167	2774	875	3250	255	7154
2012	2914	3035	866	2888	272	7061
2013	2730	3263	860	2069	377	6569
2014	2163	1912	678	3756	267	6613
2015	1447	1064	493	2851	76	4484
2016	1090	788	473	1507	68	2836
2017	779	655	393	1035	82	2165
2018	658	584	341	720	10	1655
2019	490	566	275	441	0	1282
2020	497	271	284	547	0	1102
2021	562	325	316	567	0	1208
Total**	51334	49364	22855	90757	5997	168973

*Data since March 6, 2000, ** Data till , December 23, 2021

Source: Compiled from news reports and are provisional.

სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია

ავღანეთში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რეგიონულ დინამიკაზე. შესაძლებელია ითქვას, რომ სახეზე გვაქვს „ძველი ახალი“ სახელმწიფო, რომელშიც სულ უფრო მკვეთრად შეინიშნება ჰუმანიტარული პრობლემები. ამასთანავე, სამომავლო საფრთხეებზე საუბრისას გასათვალისწინებელია ტალიბანის ავღანეთის გავლენა ინდოეთს და პაკისტანს შორის არსებულ ქაშმირის კონფლიქტზე და ავღანეთი, როგორც ახალი სამხედრო ძალა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ქვეყნის დატოვების შემდეგ საკმაოდ დიდი შეიარაღება დარჩა.

Yearly Fatalities (Including Afghanistan**)

Advance Search

Data View | Graph View | Chart View

Year	Incidents of Killing	Civilians	Security Forces	Terrorists/Insurgents/Extremists	Not Specified	Total
2018	2446	1868	1898	12603	147	16516
2019	2213	1383	1003	11075	6	13467
2020	1653	1118	1501	6076	86	8781
2021	1732	1437	1104	6952	164	9657
Total	8044	5806	5506	36706	403	48421

** From January 1, 2018 Afghanistan fatalities also added to South Asia Fatalities

ფიგურა 17. მომაკვდინებლობის მაჩვენებლები სმახრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. *ქვედა ფიგურაზე წარმოდგენილია მონაცემები ავღანეთში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით. წყარო: ASEANAPOL*

ავსტრალია

ავსტრალიის დღევანდელ და სამომავლო უმთავრეს პრობლემას, რა თქმა უნდა, ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი წარმოადგენს. ახალ ზელანდიაში, ქრაისთჩერჩში მომხდარი ინცინდენტის შემდეგ საგულისხმოა მსგავსი მასშტაბის ტერორისტული თავდასხმის მოხდენა მეზობელ სახელმწიფოებშიც.

შეჯამება

2001 წელს ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულმა გლობალურმა ომმა საერთაშორისო საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა ჩამოეყალიბებინა კონსოლიდირებული, რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობაზე ორიენტირებული კონტრტერორისტული მიდგომა. მიუხედავად აღნიშნული მიდგომის წარმატებულობისა, ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი დღეს არათუ წარსულის ფენომენს, არამედ კიდევ უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის კომპლექსურ ბუნებაზე.

აღნიშნული დოკუმენტი არსებული კონტექსტის შეფასების საფუძველზე, ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით კარდინალურ სამომავლო ცვლილებებს არ სახავს, თუმცა მიუთითებს რიგი იდეოლოგიების (ულტრამემარცხენე) ხელახლა აქტუალიზაციის შესაძლებელ ტენდენციაზე და აღწერს სამომავლო საფრთხეებს რეგიონების მიხედვით.